საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციონო პარტია
დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# სოციალისტ-ფედერალისტი

პარასკევი, ივლისის 8
1921
№ 105
ფასი 500 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა
„სოციალისტ-ფედერალისტზე"
სახლში მიტანით გაზეთი ღირს თვეში 9000 მან. ცალი 500 მან.

## ხელ-ახალი რეგისტრაცია.

სოც.-ფედ. სარ. პარტიის დრ. მთავარი კომიტეტის დადგენილების თანახმად, მთელ საქართველოში უნდა მოხდეს წევრთა ხელ-ახალი რეგისტრაცია.

ტფილისში რეგისტრაცია დამთავრდა სამ უბანში გრძელდება შემდეგ უბნებში:

1. ვაგზლის უბანში ამხ. კ. ბაქრაძესთან VI საბჭოთა აფთიაქში (ვაგზლის ქ. № 8).
2. დიდუბის უბანში—კბილის ექიმ ბაქრაძესთან მუშტაიდის შესახვევი № 11.
3. ავლაბარში—პარტიულ ბიუროში საღამოს 6—8-მდე (კახეთის მოედანი № 5).
4. მე-9 უბანი—სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ლითონის განყოფილების მდივან ელიაშვილთან. 9—2-მდე. ჩერქეზოვის ქუჩა № 36 საღ. 4—5-მდე—და აგრეთვე რედაქციაში და ცენტრალურ ბიუროში.

საგანგებო საორგანიზაციო სამეული.

## საბჭოთა აღმშენებლობა და ინტელიგენცია

ის საქმე, რომელიც უნდა გააკეთოს პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში, იმდენად გრანდიოზულია, იმდენად პასუხსაგები და მრავალფეროვანია, რომ თამამად შეიძლება ითქვას: მხოლოდ მუშათა კლასი, რომელიც შეძლებს თავის წრეში კონცენტრაცია უყოს ერის ინტელექტს, პირნათლად და სანქებრით შეასრულებს თავის დიდ ისტორიულ მისიას: დაამხობს კაპიტალის ბატონობას და ტანჯვისა და ცრემლის ქვეყანას სამოთხედ აქცევს.

აქედან აშკარაა: ინტელიგენცია ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით ისე სჭირია სოციალისტურ მოძრაობას განსაკუთრებით იმ ხანებში, როცა იწყება სოციალისტური აღმშენებლობა, როგორც ჰაერი ადამიანს.

სოციალისტებს დანგრევა შეუძლიათ და არა გაკეთებაო, გაჰკივიან ბურჟუაზია და მისი ამყოლები.

ამ აშკარა ცილისწამების გაბათილება მშრომელ ხალხს შეუძლია მხოლოდ სოციალისტური ინტელიგენტიის საშუალებით.

დაუშრეტელი ენერგია, უმაგალითო თავგანწირვა და საოცარი შემოქმედებითი უნარი არის საჭირო იმისათვის, რომ ცხოვრების ჩარხი შეტრიალდეს და ქვეყნის აყვავება და მშრომელი ხალხის ბედნიერება სინამდვილედ იქცეს.

სწორედ აქ არის დიდი და სასიქადულო წითელი ინტელიგენციის როლი, ეს ის ძალა არის, რომლის წინაშე მუხლს იდრეკს სიტლანქე და უმეცრება.

მუშის მაგარ მკლავთან ერთად ის მოახდენს სასწაულს: გაანთავისუფლებს დედა მიწის ცრემლისა და ტანჯვისაგან ადამიანს სამუდამოთ ჩამოსწმენდს იმ ისტორიულ ჩირქს, იმ ლაქს, რომელიც მას მისცა ადამიანზე ბატონობის ფაქტმა.

ისტორიულადაც ხომ ფასდაუდებელია ინტელიგენციის ღვაწლი, ის იბრძოდა წინა რიგებში, თავის პოსტზეა დღესაც.

ვერ დავმალავთ, როგორც ჩვენში ისე რუსეთში ამ უკანასკნელ წლებში სოციალისტური ინტელიგენციის მდგომარეობა განსაკუთრებული შეიქნა. ის თითქოს უკანონო შვილია, ის დამნაშავის მდგომარეობაშია, ის თითქოს ღირსება აყრილია.

უეჭველია, მხოლოდ უდიდეს გაუგებრობას შეეძლო ასეთი მდგომარეობის შექმნა.

რუსეთის პროლეტარიატის სასიქადულოთ უნდა ითქვას, რომ რუსეთში უკანასკნელ ხანებში ბოლო ეღება ამ ისტორიულ გაუგებრობას.

თუ იქ წინეთ „ინტელიგენტი" სამარცხვინო სახელწოდებათ იყო მიჩნეული, დღეს „სპეცი" უკვე საპატიო სახელია!..

დღეს აქსიომად არის აღიარებული, რომ რუსეთის ბოლშევიკების დიდი საქმე მკვდარ წერტილიდან ვერ დაიძვრის, თუ მშრომელი ინტელიგენციის ცოდნა, უნარი და გამოცდილება ფართოდ არ იქნა გამოყენებული, თუ ის გმირული თავგანწირვით არ ჩაება საბჭოთა აღმშენებლობის მუშაობაში!..

სამწუხაროდ ჩვენში ამ მხრით მდგომარეობა ვერ არის სავსებით დამაკმაყოფილებელი: პირდაპირ უნდა ითქვას: **ჩვენში ინტელიგენციის მდგომარეობა აუტანელია. მენშევიკებმა აწამეს, დაამშიეს ჩვენი ინტელიგენცია.**

ჩვენში მენშევიკების ბატონობის დროს ყველას უწევდენ ასე თუ ისე ანგარიშს გარდა ინტელიგენციისა!..

ვინც რამიშვილის კამარილიას არ ეკუთვნოდა და არ ეყრდნობოდა, ის უბედური იყო ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით! მაშინ მხოლოდ კრეტინებს ჰქონდა მოსავალი და პატივი!.

საბჭოთა აღმშენებლობის სასიცოცხლო ინტერესები ძალუმად მოითხოვს, რომ ინტელიგენციისადმი მენშევიკური დამოკიდებულება და პოლიტიკა დაუყოვნებლივ უკუგდებული იქნეს!..

ეს მით უფრო ადვილია, რომ ჩვენში განსაკუთრებული პირობებია. რუსეთის ინტელიგენციის დიდმა ნაწილმა საბჭოთა მთავრობის თავიდან საბოტაჟი გამოუცხადა ჩვენში ამის მსგავსი არაფერი ყოფილა და არც შეიძლება იყოს, **იმიტომ რომ ჩვენი ინტელიგენცია წარმოშობით უმეტესად დემოკრატიულია, ხოლო მდგომარეობით ნამდვილი პროლეტარული.**

ამიტომაც არის, რომ ჩვენში ყველა პარტიები, ისეთებიც კი, რომლებიც არ ცნობენ საბჭოთა ძალა უფლებას, ერთხმად გმობენ საბოტაჟის და გაფიცვის პოლიტიკას...

ამხ. ფ. მახარაძემ ტფილისის კონფერენციაზე განაცხადა: **საბჭოთა აღმშენებლობა მხოლოდ კომუნისტს შეუძლიაო** ეს რომ ასე იყოს, მაშინ „სპეცებთან", რომლებიც კომუნისტურ პარტიას არ ეკუთვნიან, თანამშრომლობა შეუძლებელი და უაზრო იქნებოდა. კიდევ მეტი. მაშინ აზრი ეკარგება რევკომის იმ დადგენილებას, სადაც ნათქვამია, რომ რევკომი მიმხრეა საქმიანი მოლაპარაკება გამართოს პოლიტიკურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესახებ.... საბჭოთა აღმშენებლობა ძალუმად მოითხოვს ქართველი ინტელიგენციის ამოძრავებას, მის ფართოდ გამოყენებას. ეს არის აუცილებელი პირობა ჩვენი ქვეყნის აღორძინებისათვის, საქართველოში რევოლუციის გამარჯვებისათვის.

ამასთანავე რომ ინტელიგენციის ჩაბმა ახალ მუშაობაში ნაყოფიერი გამოდგეს, საჭიროა: 1) **ქართველმა ინტელიგენციამ მიიღოს მორალური დაკმაყოფილება.** ეს მაშინ მოხდება, თუ მას **შესაფერისი ნდობით მოეპყრობიან.**

2. ქართველი ინტელიგენცია უნდა იყოს ნივთიერად; მე არ ვიტყვი, რომ სავსებით უზრუნველყოფილი, რადგანაც ეს დღევანდელობით მეტად ძნელია, ისეთ პირობებში მაინც ჩაყენებული, რომ ის ფიზიკურ განადგურებას და გადაგვარებას გადაარჩეს.

3. ქართველი ინტელიგენცია არის **უაღრესად პატრიოტული.** მან უნდა **მიიღოს ეროვნულ-პოლიტიკური დაკმაყოფილება,** რაც შესაძლებელია საქართველოს დამოუკიდებლობის ენერგიული ფაქტიური დაცვით...

ყოველივე ეს უნდა მოხდეს საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის და მის მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ.

შ.—ელი.

## ჩვენი ეკონომიკის გარშემო

ჩვენ თანდათან ვრწმუნდებით იმაში, რომ გაზ. „Правда Грузіи"-ს საქართველოს ცხოვრების სინამდვილეზე და ინტერესებზე ძალიან უარყოფითი წარმოდგენა აქვს და ყოველ ჩვენს სასიცოცხლო-საარსებო საკითხებს ერთის დაკვრით, მოურიდებლად და ტლანქად სთელავს, სთელავს თითქოს „უძაღლო ქვეყანაში" გამოდიოდეს ეს ორგანო და ამიტომაც „შიგ დაიარება უჯოხოდ", სრულიად არხეინად.

საქართველოს საზღვრების საკითხის დასმის დროს ჩვენ მიერ, გაზეთმა „პრავდა გრუზიამ" საზღვრები ერთი კალმის მოსმით წაშალა და სთქვა: საზღვრებზე დაპარაკი ბურჟუაზიული „პრედრაზსუდოკიაა", კაპიტალისტურ სახელმწიფოს თვისებაა: საზღვრები შეკრავს დამოუნის სისტემით ზღუდეებს და თავის ეკონომიურ თარეშის მოედნად გახდის მთელს ნაციას. ასევე მოექცა გაზეთი რკინის გზის გაერთიანებას და პროფესიონალური კავშირების საკითხებს და ასევე მოეპყრობა იგი ჩვენის აზრით ყოველივე საკითხს, რომელსაც კი ყოველ-დღიური ცხოვრება წამოაყენებს.

ეს იმიტომ ხდება, რომ გაზეთი „პრავდა გრუზიი" არასოდეს დამოუკიდებელი საქართველოს დამოუკიდებელ ინტერესებიდან არ გამოდის მორიგ მოვლენათა შეფასება აწონვის დროს, რადგან მისთვის რეალობაში დამოუკიდებელი საქართველო არც არსებობს და ვგონებთ დიდი სურვილი არცა აქვს მისი არსებობისა. ამის დამამტკიცებელი საბუთები წარსულში მრავალი გვაქვს, მხოლოდ დღეს კიდევ ერთი სახელოვანი ილიუსტრაცია გვიძღვნა აღნიშნულმა გაზეთმა მოქალაქე ს. პსკოვსკის წერილით—„ძალთა დაქსაქსვა". საკითხი შეეხება უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს სამთო განყოფილების დადგენილებას ნავთის დამუშავება-წარმოებაზე საქართველოში. როგორც ვიცით უკანასკნელმა დადგენილება გამოიტანა დაუყონებლივ შეუდგეს ნავთის დამუშავებასა და მრეწველობის სათანადოთ მოწყობას საქართველოში მძიმე, მაგრამ შესაძლებელ პირობებში. როგორც ვიცით საამისო პროექტებიც დაიწერა, 5 მილიარდის კრედიტი იქმნა მოთხოვნილი სათანადო უწყებიდან, მთელი რიგი პრაქტიკული მუშაობის გეგმებისა იქმნა შემუშავებული და ამ დროს ჩვენი ძველი ნაცნობი „პრავდა გრუზიი"-დან მოქალაქე სპასკი გვეუბნება: შეჩერდით, საქართველოს დამოუკიდებელი ეკონომიური ცხოვრების შექმნა საჭირო არ არის და ამიტომ საკუთარი ნავთის წარმოების განვითარებაზეც ხელი აიღეთო.

უმანკო და გულუბრყვილო მანტიის ხელოვნურად მოსხმული, მოქალაქე ს. პსკოვსკი გვირჩევს ძალებს ნუ დავქსაქსავთ საქართველოში ახალი საქმის დაწყებით და თუ მუშა და სპეცების ხელი საქართველოში ნავთის მეურნეობისათვის გამოსადეგი კიდევ მოიძებნება, მოვალეობად გვიხდის ბაქოს მივეშველოთ, აზერბეიჯანს დავეხმაროთ აქ აზერბეიჯანი ნავთს გვიგზავნის, რად ვიტკივებთ თავს დიდი საქართველოსათვის დიდი ენერგიის დახარჯვით? აზერბეიჯანთან ჩვენ მტკიცე კავშირი გვაქვს, იგი არ დაგვიკავებს ნავთს და ამიტომაც საკუთარი ნავთის მრეწველობაზე ხელი უნდა ავიღოთ—ასეთია შინაარსი ს. პსკოვსკის წერილისა, ასეთია სამწუხაროდ ჩვენი ცხოვრების ზოგიერთ მესვეურთა აზრიც ჩვენს მორიგ საქმიანობაზე. ლოღიკურად რომ გავზომოთ მოქალაქე პსკოვსკის დარიგებებს, მაშინ ფილიპე მახარაძესაც უნდა ვუთხრათ: დროა თავი ანებოთ ენერგიის დახარჯვასა და დაქსაქსვას საქართველოში სასოფლო მეურნეობის გასაუმჯობესებლად, დროა უარი სთქვათ სარწყავი არხების გაყვანის მორიგ საჭირო-მორიგ საკითხად გამოცხადებაზე. ჩვენ აქ საბჭოთა რუსეთთან მტკიცე კავშირი გვაქვს, იქ კი დაუნავ-დაუმუშავებელი ველები ბევრია დარჩენილი, ინვენტარის ნაკლულევანებას გრძნობს მთელი რუსეთი; მაშ რუსეთს დავეხმაროთ, იქ მივმართოთ ჩვენი მატერიალური—სულიერი ენერგია, ჩვენ სახლში რაიმე შემოქმედებითი სამომავლო საქმეს უარი ვუთხრათ, რადგან მეგობარი საბჭოთა რუსეთი პურს გამოგვიგზავნის. ასეთი ლოღიკური გაგრძელება იმ მსჯელობის მეთოდისა, რომელიც აურჩევია მოქალაქე პსკოვსკის ჩვენი ეკონომიურ-პოლიტიკური ცხოვრების კითხვათა გაშუქებისათვის. ასეთია ჩვენი დემოკრატიისადმი მიმართული მოქალაქე პსკოვსკის სიბრძნე და ჩვენ გვგონია, რომ მას ჩვენი დემოკრატია სათანადოთ დააფასებს. ჩვენ კი არ დაგვიკარგავს იმის რწმენა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გარდა სულით ავადმყოფისა არ დაიარება არც ერთი ქართველი, რომელიც არ აღშფოთდეს სასიცოცხლო საკითხთა ასე ტლანქად და თავხედურად დასმით: რას ნიშნავს საკუთარი სათბობი მასალის დამუშავებაზე ხელის აღება, თუ არა სრულ უარის თქმას ეროვნულ მრეწველობა-მეურნეობაზე?

—დღეს არავისთვის საიდუმლო არ არის ის დებულება, რომ ვისაც აქვს საკუთარი ნავთი, ბენზინი და ნახშირი, მის მხარეზეა 80 პროც. მრეწველობის აყვავებისა, ეკონომიური მდგომარეობისა. ჩვენ ეს საშუალება ბუნებამ მოგვცა, ჩვენის ენერგიითა და უნარით გვინდა მიწიდან ამოვახაროთ, მაგრამ ჩვენი სიმართლის ცბიერები მოქალაქე პსკოვსკები გვაჩერებენ: „ბაქოს ნავთის წარმოების საქმე დღეს ისეთია, რომ თუ მას არ მიექცა საჩქაროდ სერიოზული ყურადღება და მის რიგებში არ შემოიკრიბა მთელი ამიერ-კავკასიის მუშათა კლასის ძალები, აზერბეიჯანი ვერ გამოვა გამარჯვებული დიდი ეკონომიური კრიზისიდან"-ო და ეს საკმაო საბუთად მიაჩნია მას ქართული მეურნეობის კრიზისის გვერდის ავლისათვის. ჩვენთვის ეს გასაგებია, გასაგებია იმიტომ, რომ მოქალაქე პსკოვსკი მარტო მოსკოვისა და საბჭოთა რუსეთის საჭიროების თვალსაზრისით უყურებს ყოველივე მოვლენას, რომელიც ჩვენი ცხოვრების სიღრმიდან დაისმება ხოლმე. მაგრამ ჩვენ შეგვიძლიან გადაჭრით მოვაგონოთ მოქალაქე პსკოვსკებს, რომ ქართველი მუშა და გლეხი კატეგორიულად დაინტერესებულია ამავე დროს საკუთარი ეროვნული მეურნეობის შექმნას, ვიდრე აზერბეიჯან-რუსეთისა. სხვისი შემყურე საქართველო ვერ იქნება, რადგან არ არსებობს გარანტია, რომ ეკონომიური ძლიერების უფალი მას ყოველთვის დააკმაყოფილებს. აკი პროფესიონალური კავშირთა ყრილობაზე ერთ-ერთ პასუხისმგებელი მომხსენებლისაგან ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ შემდეგში აზერბეიჯანს ნავთის და საზოგადოთ სათბობი მასალის მოწოდება არ შეუძლიაო. მაგრამ ამაზე პსკოვსკი არას ლაგიდებს და გვეუბნება: ამ ხანად საქართველოში ნავთის წარმოება დიდ ნაყოფს ვერ მოიტანს და მომავალზეც ამ ჟამად ზრუნვა ზედმეტიაო.

ნუ თუ ჰგონია „პრავდა გრუზიის" პუბლიცისტს, რომ ქართველი მუშა და გლეხი ასეთი მოჩმახული საბუთებით უარს იტყვის მისი ერის დამოუკიდებლობის უმთავრეს ფუძეზე—ეკონომიური აღორძინების დამოუკიდებლობაზე და თავის ოჯახში გაუკეთებელ საქმეს მიატოვებს სხვისი საქმისათვის?

ბოლოს და ბოლოს ჩვენ გვგონია, რომ ჩვენი ნავთის მრეწველობა მხოლოდ ხელს შეუწყობს საბჭოთა რესპუბლიკებს

ძალის მოსაწოდებად მოწოდებული პრძოლის ყიჟინა:

„მეგობრებო წინ წინ გასწით!
ნუ შეძრკება თქვენი გული,
და, მკერდს სისხლის დადი აჩნდეს
და შუბლს ოფლის ნაკადული!

ყოველივე ეს ბუნებრივია, ხოლო უნდა ითქვას; მწერლობა როგორც ამ წინასწარ აღებულ იდეიის ცხადყოფისას, ისე „სამშობლოს განთავისუფლების“ მოტივის ამღერებისას არღვევდა ესთეტიურ-გრაფიკულ რკალს და იღებდა უტილიტარისტულ ხასიათს.

ამ რიგად პოეზია, როგორც ერთ ერთი დარგი ხელოვნებისა ამ პოლიტიკურ დამონების ხანაში, ვითარდებოდა ამა თუ იმ წინასწარ აღებულ იდეიის დაკისრების ზეგავლენით.

ასეთი სიმწვავე იგრძნეს ქართული ხელოვნების, მშობლიურ სინამდვილის გულშემატკივრებმა. ამ გარემოებით იყო გამოწვეული არჩილ ჯორჯაძის ნიჭიერი წერილები, ამიტომ ჩაისახა მიმდინარეობა სიმბოლისტური და წმინდა ესთეტიური.

მათ სურდათ გამოეყვანათ მშობლიური ერის მწერლობა ცალმხრივობიდან, რა თქმა უნდა მათი სურვილი იყო ძვირფასი და სასურველი, მაგრამ ამით ჩვენი ხელოვნება, საუბედუროთ, ვერ წაიწევდა წინ, ვერ ეზიარებოდა ღრმა შინაარსიან მოტივებს, ვერ ეზიარებოდა მანამდის, სანამ არ მოხდებოდა ჩვენი ერის პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურის გარდაქმნა. ამ მხრივ მეტად აღსანიშნავია 1918 წელი და დამოუკიდებელ საქართველოს არსებობა. თან და თან იღვიძებს ერის შინაგანი ძალა ეროვნული კულტურა.

ხდება ჩვენი სინამდვილის გარდატეხა...

კერძო ხელოვნებასაც დიდი სიცხოველე დაეტყო: აზია იწვევს ევროპასინთეზისათვის, რომელიც დაედება საფუძვლად მომავალ ქართულ ხელოვნებას.

ყოველივე ეს იხაზებოდა 1917 წლიდან, ხოლო წინასწარ ვლელობდ მას ეღობებოდა „მენშევიკური ჭაობი“. მენშევიკური მთავრობის მიერ შექმნილი პირობები ვერ მიიყვანდა ხელოვნებას გამარჯვებამდე, როგორც ვერ მიიყვანა გამარჯვებამდე იმ მუშასა და გლეხებს მოტყუებულნი რომ ეძლეოდნენ შენებას ბურჟუაზიული წეს-წყობილებისას.

გადაჭრით ვამბობთ: მენშევიკების მფლობელობის დროს ჩნდებოდნენ საოცარი ტიპები, საზოგადოებისათვის დაჩირქებული ხორცმეტები.

ასეთი იყო სინამდვილე მენშევიკების დროს! ბოლშევიკების არსებობისას ნუ იქნების ესე! როგორი სახე უნდა მიეცეს ისეთს სინამდვილეში ჩვენს მწერლობას, პოეზიას, ხელოვნებას? რა თქმა უნდა ცუდი! და ის მეტის სიცხადით აღნიშნა გუდიაშვილმა თვის სურათებით თუ ამოვარდნილ შიშველს ქალებით და სხვათა..

მენშევიკების არსებობისას შეიქმნებოდა ისეთი ხასიათის, ისეთი ტიპის ხელოვნება, რომელიც საზრდოებს კაფეშანტანებით. შეიქმნებოდა რიგი მხატვარი, მსგავსი პარიზის ნერვებ აშლილ და ფსიქიური ავადმყოფობით შეპყრობილ მხატვრებისა.. ეს იყო წარსულში.. ყოველივე ამას არ უნდა ჰქონდეს ადგილი საბჭოთა სისტემის დამკვიდრებისას. ახალი წყობილებამ უნდა მოგვცეს საშუალება მოვსპოთ ის უკულმართობანი და ჩირქები, რომელიც ევლინებოდა ქართულ სინამდვილეს.. წინად თუ ისეთი პირობები იყო, რომ უკიდურესობამდე მიდიოდა მხატვარი, ორივე მოწინააღმდეგე ფრთისა და ღრმა მნიშვნელობის მქონე შემოქმედება მხატვრისა იჩრდილებოდა „სამშობლოს განთავისუფლების“ და სოციალ-ეკონომიურ უსწორობის მოსპობის იდეებით, თუ მხატვარს წინად არ ძალუძდა ჩაეხედა თვის სულიერ საგანძურში, დღეს ის უკვე ისეთ ერის შვილი უნდა შეიქმნეს, საცა ძველი წყობილების ნაცვლად, ნაცვლად ეროვნულ დამონების, შეურაცყოფის, ეროვნული ენერგის განიავების, ნაცვლად სოციალ-ეკონომიურ ჩაგვრისა, აღიარებულ იქნება სრული ეროვნული თავისუფლება, ძმობა-ერთობის და თავისუფლების დიდი პრინციპები! დღეს დღეობით კი ამ მხრივ დიდი შეცდომებია დაშვებული!

ჩვენი დამოუკიდებულების, ჩვენი უფლებათა შელახვით ნუ თუ გამოიღებს კომუნიზმი საქართველოში რაიმე ნაყოფს?

ჩვენ ვამბობთ: თუ კი საბჭოთა საქართველოს ხელისუფალნი არავის მისცემენ ნებას შებღალოს ჩვენი ერის ღირსება და უფლება, მაშინ მიღწეულ იქნებიან ფრიად დადებითი შედეგები. მაშინ შესაძლებელი გახდება ეროვნულ კულტურის აღორძინების შესახებ ლაპარაკი.. მაშინ კერძო ხელოვნებაშიც მოხდება უტილიტასიტურ ტენდენციების ლიკვიდაცია; ხელოვნება არ გამოვა მუდამ „მიჯაჭვული ამირანის“ პიონერათ და „ივანესა და პეტრეს“ კეთილდღეობის შესახებ მქადაგებლად. აქედან დაიწყება ჩვენი პოეზიის აღორძინება.

მაშინ შესძლებს მხატვარი ჩაწვდეს ღრმა შინაარსიან დიად აზრებს და განცდებს; მაშინ შესძლებს მხატვარი თავის თავის ძიებას!

ა. ქ—ძე.

## დადგენილება

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

კათეგორიის გარეშე სატარიფო განაკვეთის შესახებ.

დამატებათ ამა 1921 წ. მაისის 13 თარიღისა და 34 №-რის დეკრეტისა მუშამოსამსახურეთა გასამრჯელოს სატარიფო განაკვეთის შესახებ, საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. ყველა ისეთ პირებს, რომელთაც აქვთ ტეხნიკური, მეცნიერული, ადმინისტრატიული ან სხვა სპეციალი ცოდნა ანუ საორგანიზაციო გამოცდილება და რომელნიც თავიანთი ცოდნის მიხედვით შეიძლება გამოყოფილ იქნენ ცალკე ჯგუფად, გასამრჯელო უნდა მიეცეთ კათეგორიის გარეშე სატარიფო განაკვეთით.

ასეთი სპეციალისტების უმაღლესი განაკვეთი 1921 წ. ივნისის 1-დან იქნეს სამასი ათასი (300.000) მანეთი ას პროცენტიანი (100 პრ.) ზოლის მიხედვით, ისე კი, სპეციალისტების სატარიფო ხარისხებათ დაყოფა დამტკიცება მოხდეს შრომის სახალხო კომისარიატის მიერ საქართველოს პროფესიონალური კავშირების საბჭოსთან ერთად შემუშავებული განსაკუთრებული დებულების თანახმად.

2. თვითეული პერსონალური სატარიფო განაკვეთი, რა სახითაც უნდა იქნას იგი დაწესებული, უნდა გადაისინჯოს ამ დადგენილების პირველი მუხლის თანახმად დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

შრომის სახალხო კომისარი ლ. დუმბაძე

რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წელი ივლისის 2

ტფილისი სასახლე.

## დეკრეტი

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონურ კომიტეტისა სტამბების, ასოთ-ჩამომსხმელი სახელოსნოებისა და ლიტოგრაფიების ნაციონალიზაციის შესახებ.

1. სახელმწიფოს ყოველგვარი სასტამბო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და სასტამბო საქმის გაერთიანებისა დ სათანადოთ და ვისათვის, საქართველოს ს. ს. რ. ტერიტორიაზე არსებული სტამბები, ასოთ ჩამომსხმელი სახელოსნოები, ლიტოგრაფიები და ყოველგვარი პოლიგრაფიული წარმოების მოწყობილება, მასალები და ხელსაწყობები, სადაც უნდა იქნეს და ვისაც უნდა ეკუთვნოდეს ისინი, ცხადდება საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის საკუთრებად.

შენიშვნა: ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება კოოპერატივებისა და მათი კავშირების კუთვნილ სტამბებზე და პოლიგრაფიულ სხვა წარმოებაზე.

2 პირველ მუხლში მოხსენებული სტამბებისა, ასოთჩამომსხმელ სახელოსნოებისა, ლიტოგრაფიებისა და პოლიგრაფიული წარმოების ყველა მუშა მოსამსახურენი უნდა დარჩნენ თავ თავიანთ ადგილზე და ჩაიბარონ სახელმწიფო სამსახურში დღიდან ამ დეკრეტის გამოქვეყნებისა.

3. ამ დეკრეტის ძალით სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადებული სტამბები, ასოთ-ჩამომსხმელი ქარხნები, ლიტოგრაფიები დ პოლიგრაფიული ყოველი წარმოება მათი მოწყობილობით და მასალებით გადაეცეს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, რომელსაც ევალება ზემოხსენებულ წარმოებათა მიღებისა და მათი გამგებლობის წესის შემუშავება ცალკე დებულების სახით.

4 პირველ მუხლში აღნიშნული წარმოების დაწესებულებათა ყოფილი პატრონნი ან დროებით მათი მფლობელნი ვალდებულნი არიან, ამ დეკრეტის გამოქვეყნებიდან სამი დღის განმავლობაში, წარუდგინონ ქ. თბილისში—სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილებას, ხოლო პროვინციაში ადგილობრივ სახალხო მეურნეობის საბჭოებს ან ეკონომიურ განყოფილებას სადაც ასეთები არ არსებობს, ადგილობრივ რევკომებს, დაწვრილებითი ცნობები სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადებული სტამბების ასოთჩამომსხმელი ქარხნების და ლიტოგრაფიების მოწყობილობათა და მათ განკარგულებაში არსებული ყოველგვარი საპოლიგრაფიო მასალების შესახებ.

5. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე

ფ. მახარაძე.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

მ. ტოროშელიძე

საქართველოს რევკომის მდივანი

შ. გაბრიჩიძე.

1921 წ. ივლისის „5“

ტფილისი სასახლე.

## ტფილისის მაზრაში

(სამაზრო რევკომის თავმჯდომარე ამხ. მგელაძესთან საუბრიდან)

**რევკომის ყრილობა.**

ახლო მომავალში განზრახულია მაზრის ყველა რევკომების ყრილობა, რომელზედაც მოსმენილ იქნება საქართველოში, საქართველოს რევკომის თავმჯდომარის მოხსენება საბჭოთა პოლიტიკაზე სასურსათო საკითხის სამაზრო რევკომების ყველა განყოფილების გამგეთა მოხსენებანი.

**მანგლისის განძეულობა.**

მანგლისიდან დაბრუნდა კომისია, დაარსებული სამაზრო რევკომების მიერ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენლების მონაწილეობით მანგლისში მენშევიკების მ ერ დატოვებულ ძვირფას ქონების ვერცხლის და სხვათა მისაღებათ. განძეულობა, რომელიც აღმოჩნდა ორ ფუთზე მეტი, ჩამოიტანეს ტფილისს და ჩააბარეს ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

**მანგლისის რევკომის რევიზია.**

მანგლისიდან დაბრუნდა აგრეთვე მეორე კომისია, დაარსებული სამაზრო რევკომის მიერ მუშურ გლეხური ინსპექციის წარმომადგენლის მონაწილეობით. მანგლისის რევკომის რევიზიისათვის კომისიამ რევიზია გაუკეთა რევკომს და აღნიშნა რა ყველა ნაკლი, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია გამოიცვალოს რევკომის ზოგიერთი წევრისა.

**სახალხო სასამართლოები**

მარტყოფისა, ყარაიაზისა, სართიჭალასა დ საგარეჯოში დანიშნულნი არიან დ უკვე საქმეების გარჩევას შეუდგა სახალხო სასამართლოების ნაფიცი მოსამართლეები.

**კომუნალური მეურნეობა მაზრაში.**

სამაზრო რევკომი დიდყურადღებას აქცევს კომუნალურ მეურნეობის განვითარებას. რაიონებში გახსნეს სამკედლო სახელოსნოები. საგარეჯოში გახსნეს აბანოები. აბანოს გახსნას მოელიან კოჯორშიაც, სადაც აქამდე არას დროს ყოფილა აბანო.

**ელექტრონით განათება.**

ასურეთის რაიონის გერმანელმა კოლონისტებმა განაცხადეს, რომ თუ მათთან გაიყვანენ ელექტრონის განათებას, ისინი იკისრებენ მის გაყვანისა დ ექსპლოატაციის მთელ ხარჯს. თანაც ყველა ხარჯს გადაიხდიან პროდუქტებით. ამის შესახებ სამაზრო რევკომმა აღძრა საკითხი სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წინაშე.

**ფოსტის მიმოსვლა.**

მოწყობილია ფოსტის მიმოსვლა თბილის-მანგლისს და თბილისს აღბულახს შუა კვირაში ორჯელ. სამწუხაროთ, გზები ამ მხარეს ისეთ მდგომარეობაშია, რომ თუ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო არ მიიღებს ზომებს შესაკეთებლად, ამას შედეგათ ის მოჰყვება, რომ როგორც ეს პუნქტები, ისე ბორჩალოს მაზრაში მიმოსვლა თბილისიდან შესწყდება.

**კავშირი რაიონებთან**

სამაზრო რევკომმა მუდმივ კავშირის დასამყარებლად რაიონებთან დაადგინა რიგი, რომლის თანახმად განყოფილებათა ყველა გამგეებიწ შაბათობით ცალკცალკე მიდიან სხვა და სხვა რაიონებში, სადაც კვირას აწყობენ მიტინგებს, აკეთებენ მოხსენებებს, უწევენ ინსტრუქტორობას და სხვა.

მანგლისსა, კოჯორსა და აბნულახში გახსნეს საბჭოთა სახლები მოსულ მუშაკებისათვის.

**ხეხილის ბაღები.**

მაზრაში მრავალი ხეხილის ბაღია მიტოვებული მათი პატრონების მიერ. სამაზრო რევკომი ასეთ ბაღებს იჯარით აძლევს კერძო პირებს იმ პირობით, რომ მოსავლის მესამედი სახელმწიფოს ჩააბარონ.

**წისქვილები.**

ასურეთში, ბარათაშვილის მიტოვებულ მამულში არის დიდი წისქვილი, რომლის რიგზე მოწყობა მოითხოვდა აუარებელ ხარჯს, მილიარდზე მეტს. სამაზრო რევკომი მოურიგდა ადგილობრივ გლეხებს, რომლებმაც წისქვილი 1 იანვრამდე სარგებლობის უფლებისათვის თითონ შეაკეთეს წისქვილი, ხმარობენ მას და შემოსულ ხორბლის ერთს მეოთხედს აძლევენ სახელმწიფოს.

**ბრძოლა მავნე მწერებთან.**

მარტყოფის რაიონში ებრძვიან გაჩენილ პურის ჭიებ-ბოგანოს,—რომელიც სპობს ყანებს. დილომში აღმოაჩინეს კალიას კვალი, რომლის გაჩენა, თუ სათანადო ზომები არ იქნება მიღებული უბედურობას უქადის, როგორც მთელ ტფილისის მაზრას, ისე მეზობელ მაზრებს.

**საქონლის მოარულ სენთან ბრძოლა.**

მაზრის ბევრ რაიონებში საგარეჯოს, მარტყოფის, დილმის და სხ. ძლიერ მოდებულია საქონლის გადამდები სენი, რომელიც უქადის მთელს მაზრას უსაქონლოთ დარჩენას. მასთან ბრძოლა ძნელდება, რადგანაც დიდი ნაკლებობაა საზეთლო პერსონალის, რომელიც ვერ აწარმოებს ერთი რაიონიდან მეორე რაიონში გადასვლას და აგრეთვე იმით, რომ არ მოიპოვება კანქვეშ შესაშხაპუნებელი წამლები. სამაზრო რევკომმა შუამდგომლობა აღძრა, რათა ... [illegible] ... საზოგადოებ ... [illegible] ... მისთან ბრძოლას.

მოსავლის პირი. მაზრაში მოსულ წვიმების გამო ყანები ცოტაოდენათ გამოკეთდა და საერთოთ მოსავალი, გარდა ყარაიაზის რაიონისა, შეიძლება ჩაითვალოს საშუალოდ.

## ჩვენი ფოსტა

გ. დგებუაძეს. გთხოვთ რედაქციაში შემოიაროთ.

რედაქტორი თედო დლიანტი.
გამომცემი ცენ. მთავარი კომიტეტისა.

**იყიდება** სტილიური ბუფეტი ბრონსეს ტუპიკში № 8 ქვემო ეზოში ბალკონი ტკვრის პირად. გაიყიდება პარასკევს, ივლისის 8 და კვირას ივლისის 10-ს. 1106

**დაიკარგა** ივლისის 2-ს 1921 წ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის 2 კურსის მატრიკული მარიამ ჯაშიტოვის სახელზე.
მპოვნელს ვსთხოვ დამიბრუნოს ამ მისამართით: სასამართლოს ქ. № 52 სახლი გაერნიასი. მსმენელ ქალს ჯაშიტოვისას. 1105

**დაიკარგა** ალექსანდრეს ბალის პირდაპირ კოოპერატივ „ედინენიეს“ საწევრო წიგნაკი № 7387. მპოვნელს ვთხოვ დამიბრუნოს შემდეგი მისამართით: საპიორის შესახ. № 4 მაჯუტაძეს. 1103

ქალის ექიმი
**აპოლონ ურუშაძე**
ღებულობს ავადმყოფებს მიღება 9—1 ს. და 4—7 ს.
ბებუთოვის ქუჩა 13 ბინა 1. 29

ექიმი
**ნ. ა. არუთინოვი**
სპეციალურად სიფილისი (914 და 606) სქესობრივი, ... ხოფები და შარდის.
... ბებუთოვის ქ. 5, ... 
მიღება 10—2 და 5—7 საათ. 946

შინაგანი—ექიმი
**ი. ბ. ქუთათელაძე**
... ავადმყოფობა ... [illegible] ... „ნეიმანის და ვესსელის“ მეთოდებით. ვებულობ დარიგებას „ზოოტეხნიაზე“ (საქონლის მოვლა მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 2—5 ს. ბელინსკის ქ. № 3, ბ. 2. 38

**სოფრ. ტლაშაშვილის**
**თხზულებანი I და II ტ.**
იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. იქავე ბუღალტერია სოფრ. ტარუაშვილისა.
ბუნების გლოვა ვაჟას გარდაცვალებაზე—სიმღერა არაყიშვილისა 1108

ყოფ. გიმნაზიის დამაარსებელი და გამგე მათემატიკის მასწავლებელი ივ. მარკ. მ ა ჩ ა ბ ე ლ ი
ადგენს მიახამზად.
**ჯგუფებს**
ოთხი და ექვსი კლასის მოწმობის მისაღებად. აგრეთვე საშუალო სასწავლებელში: გიმნაზიაში, რეალურ სასწავლებელში, საერთო განათლების კურსებზე შესასვლელად მე-2,3, 4, 5, 6, 7 კლასში. მასწავლებლობის და ფართაქის მოწმობის წოდებაზე.
აგრეთვე იძლევა ცალკე გაკვეთილებს: მათემატიკაში გერმანულში და რუსულ ენებში—განმეორებითი გამოცდებზე მოსამზადებლად.
მეცადინეობა: დილით—5—7 საათამდე. სადამოთი 2—4 და 5—7 საათ.
მისამართი: პლეხანოვის ქუჩის და ალექსის ქუჩის კუთხე № 25 და 5.
ნახვა და ჩაწერა—6—7 ნახ. დილით 3—7 სადამოთი. 1081